ოქმი:**ო37. 37263087**

თარიღი:**04/11/2026**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ზურაბ მორჩილაძის

ანგარიშის მოსმენის სხდომის

ოქმი

2026 წელი,19 ოქტომბერი
სოფ. ძიმითი
17:00 18:00 - საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ : საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს - აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. რომ ზ. მორჩილაძე საკრებულოს არის ერთ-ერთი საუკეთესო წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკრებულოს, საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებსა და ფრაქციაში მუშაობას, მუდმივად ინტერესდება ამომრჩევლების, სოფლის წინაშე მდგომი პრობლემებით, დროულად ცდილობს მათ გადაწყვეტას.

საკრებულოს წევრმა ზ. მორჩილაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურულ პროგრამებზე, სოფლებში განხორციელებულ სამუშაოებზე და სამომავლო გეგმებზე.

ამომრჩევლების მიერ დაყენებული იქნა რამდენიმე საკითხი: სოფლის კულტურის სახლში სცენის იატაკისა შეკეთება და პიანინოს შეძენის შესაძლებლობა, კოხას უბანში წყლის მიწოდების აღდგენის, ფაფასკურის უბანში გზის რეაბილიტაციის.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. განაცხადეს, რომ საკრებულოს წევრის საქმიანობა უნდა შეფასდეს დამაკმაყოფილებელად, იგი პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დავით დარჩია და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში. ამომრჩევლების და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დავით დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

